აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 8

3 აგვისტო 2012 წელი ქ. ბათუმი

უმაღლესი საბჭოს 2012 წლის არჩევნების პერიოდში უმაღლეს საარჩევნო კომისიის წევრების, შტატგარეშე მოსამსახურეების სახელფასო განაკვეთისა და რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ მე-12 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების, მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. საარჩევნო პერიოდში უმაღლეს საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვროს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 01 აგვისტოს №4 განკარგულებით დამტკიცებულ №1 დანართით გათვალისწინებული შესაბამისი თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

2. განისაზღვროს საარჩევნო პერიოდში დამხმარე მოსამსახურეების და შტატგარეშე მოსამსახურეების რაოდენობა და სახელფასო განაკვეთი თანახმად №1 დანართისა.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტი ამოქმედდეს უმაღლეს საბჭოს 2012 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან და მისი მოქმედების ვადა

განისაზღვროს არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების ცნობამდე დროის მონაკვეთით.

4. ამ განკარგულების მე-2 პუნქტი ამოქმედდეს უმაღლეს საბჭოს 2012 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 3 (სამი) თვის ვადით.

5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

6. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია